ოქმი #19

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

ქ. ცაგერი 11 ნოემბერი, 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭ. ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გ. გუგავა
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, გ. გოგებაშვილი, ო. ჩაკვეტაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. ბურჯალიანი, ე. საღინაძე, თ. ნემსაწვერიძე, გ. ახვლედიანი, გ. გურგუჩიანი, ა. მახარობლიძე, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ა. თუთისანი, რ. ახვლედიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, მ. ლეთოდიანი/

განკარგულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სარგებლობის უფლებით გადმოცემული ავტომანქანის პიკაპი /Pick-up GREAT WALL WINGL სახელმწიფო ნომრებით TT-515-TH სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი/

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მ. ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში მეთერთმეტე ცვლილების საფუძველია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა შემოსავლების გეგმის ზრდა, დაგეგმილ მოცულობასთან შედარებით შემოსულია 93,0 ათ. ლარით მეტი, აღნიშნულიდან გამომდინარე 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდოს 93.0 ათ.ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს :

- ა(ა)იპ - კომუნალური მეურნეობის სუბსიდია - 4750 ლარით,
- ა(ა)იპ - კომუნალური მეურნეობის სუბსიდია - 36300 ლარით,
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 13600 ლარით,
- გარე განათება – 35800ლარით.
- ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის სუბსიდია – 2000 ლარით.
- ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი – 550 ლარი.

ცვლილების საფუძველია ასევე ზოგიერთი პრიორიტეტის და პროგრამის ფარგლებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება. მიმდინარე ეტაპზე საშუალებას იძლევა - დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების შემცირება –486600 ლარით და მოხდეს მისი გადანაწილება სხვადასხვა პრიორიტეტსა და პროგრამებზე, კერძოდ გაიზარდოს:

- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი„ხვამლი“-ს სუბსიდია - 24000 ლარით
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდია – 65000 ლარით
- ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“-ის სუბსიდია – 31000 ლარით
- ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმის სუბსიდია – 6400 ლარი.
- ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდია – 7700 ლარით.
- ა(ა)იპ „ტურიზმის ცენტრი“ – 7350 ლარით.
- ა(ა)იპ - ქალთა და ბავშვთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი“-ის სუბსიდია – 16000 ლარით.
- ა(ა)იპ „ესთეთიკური აღზრდის ცენტრი“-ის სუბსიდია – 9450ლარით.
- ა(ა)იპ „ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის“ სუბსიდია – 8250ლარით.
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება – 5500ლარით.
- ა(ა)იპ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ახალგაზრდობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრის დაფინანსება – 55000 ლარით
- რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება - 2500ლარით
- ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის დაფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი – 200 ლარი.
- საგზაო ინფრასტრუქტურა – 57000 ლარით
- კეთილმოწყობის ღონისძიებები – 15000 ლარით.
- მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება - 29000 ლარით.
- ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება – 87000 ლარით

- მუნიციპალიტეტის მერია – 50250 ლარი
- სარეზერვო ფონდი – 10000 ლარი

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 5089478 ლარი. აღნიშნული ცვლილებით 8230 ლარით შემცირდა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა, რომელიც შემოსულობებში აისახა გრანტებში, ხოლო გადასახდელებში: კეთილმოწყობის ღონისძიებები – 8230 ლარი.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 ოქტომბრის განკარგულება, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობის მიერ 2015-2021 წლებში სხვადასხვა განკარგულებებით გამოყოფილი თავისუფალი ნაშთები გადმოეცა მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომელიც თანხობრივად შეადგენს 635106 ლარს და შესაბამისად გადასახდელებში მოხდება თანხების გადატანა პრიორიტეტში - ინფრასტრუქტურის განვითარება.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ.ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ,,ცაგერი საქრთველოსთვის“ ფრაქციის თავმჯდომარის
მოადგილემ გ. კოპალიანმა და ამავე ფრაქციის წევრმა დ. მურცხვალაძემ

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18-მა დეპუტატმა,
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0

განკარგულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სარგებლობის უფლებით გადმოცემული ავტომანქანის პიკაპი/Pick-up GREAT WALL WINGL სახელმწიფო ნომრებით TT-515-TH სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, მ. ხაბულიანმა, ჭ.ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა დეპუტატმა,
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი